გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება №109
2023 წლის 9 ივნისი

ქ. გორი

ქ. გორში, ტყვიავისა და ყიფიანის ქუჩების კვეთაზე ბოძკინტებით წრის მოწყობის, ქვეითთა გადასასვლელებისთვის ადგილების გამოყოფისა და შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ტყვიავისა და ყიფიანის ქუჩების კვეთაზე ბოძკინტებით მოეწყოს წრე, ქვეითთა გადასასვლელებისთვის გამოიყოს ადგილები და განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები: 5.19.1, 5.19.2. „ქვეითთა გადასასვლელი"; 2.1. „მთავარი გზა"; 2.3. „დაუთმე გზა".

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. გორში, ტყვიავისა და ყიფიანის ქუჩების კვეთაზე ბოძკინტებით მოეწყოს წრე, ქვეითთა გადასასვლელებისთვის გამოიყოს ადგილები და განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები: 5.19.1, 5.19.2. „ქვეითთა გადასასვლელი"; 2.1. „მთავარი გზა"; 2.3. „დაუთმე გზა".

ბოძკინტებით მოსაწყობი წრის, ქვეითთა გადასასვლელების და საგზაო ნიშნების განთავსების სიტუაციური სქემის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში, ტყვიავისა და ყიფიანის ქუჩების კვეთაზე ბოძკინტებით მოეწყოს წრე, ქვეითთა გადასასვლელებისთვის გამოიყოს ადგილები და განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად:

ა) 5.19.1, 5.19.2. „ქვეითთა გადასასვლელი";

ბ) 2.1. „მთავარი გზა";

გ) 2.3. „დაუთმე გზა".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**